ილია ჭავჭავაძე აკი-ლოს რაიმე". ილია უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ "სწორედ ამ სხვა საპალნესა ჰკიდებს საერო სკოლას ბ-ნ იანოვსკის წერილი, მერე ისე ჰკიდებს, რომ საკუთარის ტვირთის ზიდვისათვის დონე სულ თუ არ მოესპობა, ძალიან მოაკლდება მინც" (იქვე). ილია აღიარებს, რომ "ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი" არის "ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მონარდსა და რომელთა შორისაც ბავშვი ტრიალებს და ცხოვრობს სულითა და ხორციით დაბადების დღიდანვე". მისი აზრით, დაწვებითი სკოლის "სამი წლის კურსი საერო სკოლისა მეტად მოკლე ხანია ჯერ იმისათვისაც, რომ ბავშვა გონება გაიხსნას" (იქვე, გვ. 498).

ილია ჭავჭავაძეს მოაქვს მოწინავე ქვეყნების დაწვებითი სწავლების ის დადებითი მაგალითები, როცა საერო სკოლის კურსი ხუთსა და რვა წელს მოიცავს და რომელიც საშუალებას იძლევა, რომ პირველ სამ წელსავე საერო სკოლა ჩვენში თავის პირდაპირ დანიშნულებას ემსახუროს. იგი აკრიტიკებს კავკასიის სასწავლო ოლქის "მზრუნველ", რუსიფიკატორ იანოვსკის, რომელსაც განუზრახავს სასწავლო განათლების რეორმისა და გასახელმწიფოების მოტივით სამწლიან სკოლებში რუსული ენის იმ დონეზე დაუფლება, რომ სამწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ არარუსმა მოსწავლეებმა "იცოდნენ არამც თუ მარტო წერა-კითხვა, არამედ გაგებაც ჰქონდეთ წაკითხულისა და წერითაც შესძლონ როგორც დედა ენაზე, ისე შეძლებისამებრ რუსულადაც. იანოვსკი ამის მისაღწევად საჭიროდ სახავს: "პირველი წლის მეორე ნახევრამდე ოსტატმა ყოველდღე უნდა გადასლოს 30-45 წამი, რომ ბავშვები შეაჩვიოს რუსულ ენას... ჯერ დედა ენაზე ათქმევისონ და მერე რუსულადაც. მეორე წელს კი, რაჯი შეგირდები შეისწავლიან დედა-ენაზედ წერა-კითხვას, უნდა შეუდგნენ რუსულის წერა-კითხვის სწავლებასა. მესამე წელს კი, რაც დედაენის შემწეობით ასწავლიან ბავშვებს, ყოველდღე ის, შეძლებისამებრ (?) რუსულადაც უნდა ასწავლონ" (იქვე, გვ. 432).

ამის გამო ილიას მოჰყავს გერმანიის მაგალითზე რისტერის მიერ დამოწმებული ფაქტი, "როცა საერო სკოლაში პროვინციალურ ენასთან სახელმწიფო ენასაც ასწავლიან, სახელმწიფო ნემცურს ესე იგი იმავე ძირის ენას, მაგრამ უფრო განვითარებულს. რეკრუტის კომისიების სიტყვით, ისე არ ავიწყდებათ რა ბავშვებს, როგორც ნემცური (სალიტერატურო) ენა" (იქვე, გვ. 433). აღნიშნულთან დაკავშირებით ილია ნიშნის მოგებით აცხადებს: "რუსეთში, სადაც ჩვენებრ სამი წლის კურსია და ასწავლიან მარტო ერთს დედაენას - რუსულს, ბევრი ყმაწვილი სკოლის შემდეგ წერა-კითხვას იფიწყებენ" (იქვე, გვ. 433) და დასძენს: "ნუთუ ჰგონიათ, ჩვენშიც საერო სკოლა სამისავე წლის კურსით იმ სასწავლს მოახდენს, რომ დედა ენაზე შეასწავლოს ბავშვს და რუსულიცა იმოდენად ცნობიერად და გაგებით, რომ მერე არ დააიწყდეთ?" (იქვე, გვ. 433-434). ილია აცხადებს: "სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოს რაც შეიძლება მომეტებულად საჭიროება იმ საზოგადოებისა, რომელთა შორისაც და რომლისთვისაც არსებობს" (იქვე, გვ. 434). ილიას აზრით, "სამი წლის კურსი საერო სკოლისა მეტად მოკლე ხანია იმისათვის, რომ ბავშვა გონება გაიხსნას". ილიას რეკომენდაცია ასეთია: "ისე მოვაწყოთ სკოლა, რომ რუსული ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს... რომ კაცმა ცხოვრებაში გამოიყენოს... რომ პირველ სამ წელიწადს საერო სკოლა ჩვენში თავის პირდაპირ დანიშნულებას ემსახუროს" (იქვე, გვ. 438).

კომენტარები: ილია ჭავჭავაძემ მსოფლიოს აღიარებული პედაგოგიური გამოცდილების მქონე ცნობილი ავტორების პროგრესული დიდაქტიკური აზრების მოხმობა-ილუსტრირებით წარმოჩენილი აღნიშნული პედაგოგიური მეთოდოლოგია და სწავლება, მართალია, საერთოდ ქართველი ბავშვების სწორი სწავლების ინტერესების დაცვის მიზნით ჩამოყალიბდა, მაგრამ მან ზოგად მეთოდოლოგიური მნიშვნელობის ის სიბრძნე მოგვცა, რომელიც უთოდ ვრცელდება ქართულის არმოდენ იმ მეგრულ-ქართველ ბავშვებზე, რომელთაც არა მხოლოდ ქართულის არმოდენ მეგრულ გარემოცვაში მოუწიათ ცხოვრება, არამედ მეგრულის გარდა სხვა ენა არც იცოდნენ, არც მოუხმენიათ, ხოლო სასკოლო დაწვებით სწავლებას მხოლოდ თავიანთი დედა მეგრული ენით იწყებდნენ და დაწვებითი სკოლის დამთავრების შემდეგაც სარბიელ მოედნად მხოლოდ თავიანთი სოფელი თუ გარემო რჩებოდათ. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძისა და მსოფლიოს მოწინავე პედაგოგიური მეთოდოლოგიური აზრი აუცილებლად მოითხოვს პირველდაწვებითი სკოლის პერიოდში ბავშვის დედა-ენით სწავლებას, დედა-ენით ბავშვის გონების გახსნას, მშობლიური გარემოს ზიარებას, პირველდაწვებითი სწავლების საფეხურის დამთავრების შემდეგ უკვე ცხოვრების ფერხულში ბავშვების ელემენტარული მოთხოვნებით მართლმსაჯულებისა და თვითმართველობის შეჩვევას, თავისი სოფელი, კუთხისა და ერისათვის გონებითა და გულით გაღვიძებული კაცის მომზადებას, რომელიც საკუთარი ჭკუითა და გულით გაუჭირებელივ გაუძღვება საკუთარი ცხოვრებისეული შემოქმედების მოედანს. ამიტომ არ შეიძლება, რომ ბავშვების სასკოლო განათლება კვლავ ინტელიგენციისა და შედარებით უზრუნველყოფილთა შეილებების პრივილეგიად დარჩეს. მაშასადამე, იმთავითვე იყო საჭირო სტ. გაგუას სწორი პედაგოგიური მეთოდების გამოყენება, რაც ხელისუფლებას მაშინ დობის ჩხირად მიანდა.

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბორჯოლიანის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბორჯოლიანის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალების ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

კორნელი ბორჯოლიანი

ის ბატალიონი, სადაც კოლუბიაკინი უბრალო სალდათად მოხვდა, გენერალ ველიამინოვის მხედრობის ნაწილში შედიოდა, ხოლო ამ მაშინდელ დროის განთქმულ გენერლის გარშემო თავი მოყრილი ჰქონდა კავკასიის სამხედრო წოდების მთელ თავანკარს; მისთვის ნაწილში იმყოფებოდა დეკაბრისტების წრეც და პოლონელ მაგნატებისაც, რომლებიც 1831 წლის აჯანყებისათვის იყვნენ აქ გამოგზავნილი. ძმები ბესტუჟევი, ოლოვესკი, სანგუშკო, ჩერკასოვი, კორნილოვი და სხვები შეადგენდნენ ამ, როგორც მაშინ ეძახდნენ, “უბედურთა წრეს” და ამით კოლუბიაკინი რომ გაიცნეს, თავის წრეში მიიღეს, და უფროსების თვალში წინ წასწივს ახალი წევრი და დაუახლოვეს იმ არისტოკრატიულ ახალგაზრდობას, რომელიც პეტერბურგიდან მოედინებოდა ველიამინოვის რაზმში სამხედრო წარჩინების მისაღებად. ამგვარად, 1835 წელს კოლუბიაკინმა უკვე დაიმსახურა სალდათის წიმი. გიორგის ჯვარი და შემთხვევა ჰქონდა გეოგრაფიკული თავადი ა.ი. ბარიათინსკი, და როცა ბარიათინსკი მიიმდ იქმნა დაჭრილი, სხვებთან ერთად თავის მხრებზე შემოიგდო და ასე გაიტანა ბრძოლის ველიდან. ბარიათინსკის ეს სულმუდამ ასსოვდა, და მაშინ თითქმის უიმედო ავადმყოფი ჭრილობისაგან, გენერალ ველიამინოვს ანდერძს უტოვებს და, როგორც დიდს რამეს წყალობას, სთხოვს იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე კოლუბიაკინისათვის ოფიცრობის ხარისხის დაბრუნების შესახებ. ამ გარემოებაში, რა თქმა უნდა, უშველა ღირსებააყრილ ნაოფიცრალს და შემდეგ წელიწადს, როცა ფეხში მიიმედ დაიჭრა, პრაპორშნიკის ხარისხი მისცეს. ამ ხანებშივე სწამლობდა თავის ჭრილობებს პიატიგორსკში და გაიცნო ლერმონტოვი; ორივე უცნაურის ხასიათისანი იყვნენ და ერთმანეთი ვერ შეიგუეს. და პოეტმა თავის “ჩვენი დროის გმირი”-ში ერთის კალმის მოსმით დაჰხატა კარიკატურული სილუეტი კოლუბიაკინისა ტიპ გრუშინიცკის სახით. კოლუბიაკინმა ეს იცოდა და გულკეთილად აპატივა ლერმონტოვს ეს ბოროტი საქციელი მის წინააღმდეგ. ოფიცრობა მისცეს თუ არა, გადავიდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში, რომლის კომანდირად იყო თავის დროზე ცნობილი გენერალი ბეზობრაზოვი. კოლუბიაკინის სამსახური ისევე კალაპოტში ჩადა და მალე მიიქცია ყურადღება ყველას, როგორც

ნიჭიერმა და განათლებულმა ოფიცერმა.

ამ დროიდან იწყება საკმაოდ სწრაფი წარმატება სამსახურში კოლუბიაკინისა. ჯერ გახდა გენერალ ბუდბერგის ადიუტანტი, მერე გრაფ ანრევის ადიუტანტი, მსახურობს შავი ზღვის სანაპირო ხაზზე და კახეთში, ლეკების ხაზზე.

ამ დროს მოხდა ერთი ამბავი სამსახურში და იმას აღუნიშვნელად ვერ დაესტოვებთ.

გენერალ-ადიუტანტი გრაფი ანრევი, ოდესღაც ქალაქ დერპტის უნივერსიტეტის ნახტუდენტარი, კაცი მეტად განათლებული და პუმანისტი, კავკასიაში მსახურებდა დიდის წარმატებით. სტუდენტობის დროს იდეალებს ისე ერთგულობდა: თმი უბედურება და ბოროტებაა და ამის მიზეზი ადამიანთა შორის გაუგებრობააო. გული-გულში დარწმუნებული იყო: სულ ადვილია ეს გაუგებრობა მოისპოს და სხვადასხვა ხალხის ერთმანეთთან მშვიდობიანი დაახლოვებით. ანრევი დარწმუნებული იყო, რომ გალაშქრებისა და თავდასხმის მაგიერ, ჩვენ რომ გავებუდავდეთ და მთიელებთან შევიდოდეთ როგორც მისიონერები, ყოველი უთანხმოება მოისპობოდა, ჩვენი ურჩი ხალხები ბარად ჩამოვიდოდნენ ჩვენთან არა როგორც მტრები, არამედ როგორც ჩვენი უმცროსი ძმები. ეს აზრი მან გაუხიარა ერთ ტაბილ მეგობრულ ბაასის დროს თავის ადიუტანტს, ახალგაზრდა კოლუბიაკინს და ეს უკანასკნელიც დაეთანხმა და თანაუგრძობო. ორთავემ არა მარტო ირწმუნეს შესაძლებლობა და ნაყოფიერება ამ გეგმის ასრულებისა, მაგრამ გადასწყვიტეს კიდევ და უპოვნებელიც ეცადნათ მისი განხორციელება საქმეზე. ტანთ მთიულურად ჩაიცვეს, იახლეს ერთი ლეკურის მოლაპარაკე თარჯიმანი და გენერალ-ადიუტანტი ანრევი და მისი ადიუტანტი პორუჩიკი კოლუბიაკინი, ფეხით გაემართნენ ზაქათალიდან ანწუხის საზოგადოებაში, რომელიც ჩრდილო დაღესტნის ყველაზე მაღალ და მთიან ნაწილში მდებარეობდა. მათი წასვლის მიზანი ზაქათალაში არავინ იცოდა და ყველას ეგონა სანადიროდ მიდიოდნენ. ანწუხელებს მეტად გაუკვირდათ, როცა მათს აულში მოსული სამი უცნობი და უიარალო კაცი დაინახეს. თარჯიმანმა გააგებინა, რომ ესენი უბრალო ხალხი არ არისო და სურთ ჯამათს, ე.ი. მსცოვანთა კრებულს მოელაპარაკნენო. ჯამათიც შეგროვდა და ანრევიმაც მიმართა რჩე-

ვა-დარიგების სიტყვებით, რომელთა აზრი საერთოდ ასეთი იყო: “რათ გეგებრებით და ძმათა სისხლი რად იღვრება? ჩვენ თქვენი მტრები არა ვართ, არამედ ახლობელი მეგობრები. ჩვენა გუსურს თქვენს შორის განათლება შემოვიტანოთ, რომელიც მიზნად ისახავს თქვენს სიკეთესა და ბედნიერებას. თქვენ ახლა ღარიბები ხართ, მაგრამ ჩვენ გაგამდიდრებთ და გასწავლით, როგორ შეიძინოთ ამქვეყნიური სიკეთე; ამისთვის თქვენს მხარეში გავიყვანო გზებს, და დაგიარსებთ სკოლებს, სადაც თქვენი შვილები ყველა სასარგებლო ხელობას ისწავლიან და ამის საშუალებით შეიძენენ ყოველგვარ სიმდიდრეს. როცა ჩვენოდონათ გაგანათლებთ თქვენთან ერთად დავამუშავებთ იმ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომელიც ასე უხვად მოიპოვება კავკასიის მთებსა და ბარში. დაჰყარეთ იარაღი და ჩვენც ჩვენს იარაღს დავეყრით – თმის მაგიერ საუკუნოთ დაემშობილდეთ და ერთმანეთთან მშვიდობიანად და ტკბილად ვიცხოვროთ”.

ჯამათმა გულდასმით მოისმინა ნათქვამი და ორატორსა ჰკითხა, ვინა ბრძანდებით და ვისი სახელით გველაპარაკებით? მაშინ ანრევიმ თავისი ვინაობა გაუმჟღავნა. განცვიფრება სრულ უნდობლობად შეიცვალა.

– როგორ, შენ, გენერალი, ხელმწიფის ჯარის სარდალი, რომელსაც დავალებული გაქვს ჩვენთან თმი, ჩვენთან მოდიხარ და გვეუბნები – ნუღარ ვიომებთო?! მაშასადამე, შენ არამცთუ შენს პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებ, არამედ ისეთ საქმესა ჰკიდებ ხელს, რაც შენ სრულებით არ შეგეფერება. ჩვენა ვრწმუნდებით, რომ თქვენ მოსული ხართ ან იმისთვის, რომ მახხრად აგვივლოთ, ან დაათვალიეროთ აქაური ადგილ-მდებარეობა, ან, კიდევ გიყუბი უნდა იყვნეთო!..

ჯამათი აყაყანდა, და ამ წუთას მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც უფრო გაამწვავა საერთო არეულობა.

კოლუბიაკინთან მივიდა ვიღაც ახალგაზრდა ლეკი, მის ჩოხაში ვახანებს მოჰკრა თვალი და მოურიდებლად ხელი ჩაუყო ამოსაღებად. ალბათ თოფისწამალი უნდოდა. კოლუბიაკინმა ისე ღონივრადა ჰკრა ხელი, რომ ლეკი გაცოფდა და ეცა. ერთმანეთს დაებლაუჭნენ და რადგან ეს მთის ბილიკის ნაპირას მოხდა, ორივენი სრამში გადაიჩხენენ.

მოსუცთ შეეშინდათ და ხელათ უბრძანეს ახალგაზრდებს გასდევნებოდნენ უკან და უცხო კაცი უვნებლად ამოეყვანათ. ბრძანება ხელათ აასრულეს და კოლუბიაკინი ამოიყვანეს მთლად დაფხაჭინდი და გახისხლიანებული, ჩოხაშემოხეული. მაშინ მოხუცებმა ორ მოსულ კაცს აუხსენეს:

– ჩვენის ჩვეულების თანახმად, სტუმართმოყვარეობა უდიდესი წმინდა მოვალეობა და ჩვენთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა, უიარალო ხალხისათვის ჩვენს საზოგადოებაში ვისმე შეურაცხყოფა მიგვეყენებინა. ჩვენ არა ვცდილობთ გავიგოთ, თქვენ ვინა ხართ; მაგრამ რადგან უკვე გატყობთ, რომ აქ სამტროდ არა ხართ მოსული, და ერთი ბეჭო არავფერი დაგიშვებთ, გირჩევთ ახლავე დაბრუნდეთ, საიდანაც მოსულხართ. ჩვენის საზოგადოების საზღვრამდე კი კაცებს გაგაყოლებთო.

აი, რითი გათავდა ეს უცნაური ცდა გენერლისა და მისი ადიუტანტისა!.. მალე მთელს კავკასიაში ყველამ გაიგო ეს ამბავი, და ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აქედან გენერალი ანრევი სხვაგან გადაიყვანეს.

ეს ეპიზოდი სამხედრო პრაქტიკაში თითქმის დანაშაულად ჩაითვლებოდა და ბოლოს სასაცილო ანეგდოტის ხასიათი მიიღო. მაგრამ თუ კაცთმოყვარულის თვალსაზრისით შევხედავთ, არ შეიძლება არ გაგვაკვიროს როგორც ამდღებულმა განზრახვამ, ისე ამ ორის თავისებურ ადამიანის უდიდესმა

თავგანწირულებამ. საკუთარ სიცოცხლისათვის არც გენერალი ავიტრობდა და არც მისი ჭაბუკო-ადიუტანტი, ორივე ალაღ-ბეღზე მიდიოდნენ; ხოლო ასეთ თავგანწირულ და თან შემცთარ იდეალისტების წყალობით კავკასიის დაპყრობის საქმე ძალიან ადვილდებოდა. და თვით შეცთომამაიც კი იგივე ლოზუნგი იყო ჩატანებული: “ნურაფრის წინაშე დაფიქრდები, ნურაფრის წინაშე განჩრდები, ოღონდ კი შეძლო წინ სიარული”.

ვორონცოვს, კავკასიაში ჩამოსვლისთანავე, თვალში მოხვდა კოლუბიაკინი და დაინიშნა ჭარ-ბელაქანის ოლქის ბოქაულად, მერე ვიცე-გუბერნატორად ქუთაისში, და ორმოცდაათიან წლების დამდეგს ნიკ. კოლუბიაკინი შავი ზღვის სანაპიროს ხაზის III განყოფილების უფროსად იყო. ეს უკანასკნელი პოსტი სამხედრო გუბერნატორის წოდებას უდრიდა და იმ დროს კავკასიაში ერთ-ერთი უდიდესი თანამდებობათაგანი იყო. რეზიდენცია სოსუმში ჰქონდა კოლუბიაკინს. მარჯვენა ფრთაზე ჩვენი სამხედრო მოქმედება ჯიქებისა, უბიხებისა და შავსუღების წინააღმდეგ აქედან მიემართებოდა: ამავე დროს ურთიერთობა გვექონდა აფხაზეთის მთავართან, მიხეილ შერვაშიძესთან, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მთის ხალხებთან, მაგრამ რუსის მთავრობასთან ყოველთვის ორგულად იქცეოდა.

ისეთ პირს, რომელსაც შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების უფროსობა ეჭირა, მოეთხოვებოდა სამხედრო გამოცდილება, ნიჭი და ქვეყნის ადგილობრივი პირობების ცოდნა. და როდესაც ასეთი თანამდებობა კოლუბიაკინს ჩააბარა, ვორონცოვი არ შემცთარა, ამას ამტკიცებს სამის წლის განმავლობაში ინტიმური, საქმიანის ხასიათის მიწერ-მოწერა ვორონცოვისა კოლუბიაკინთან. რამდენადაც გვახსოვს, ეს მიწერ-მოწერა დაბეჭდილი იყო “რუსულ არქივში”. ჩვენ შემთხვევა გვექონდა ამ მიწერ-მოწერის დედანი გვეკითხნა და შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მეტად საინტერესო რამ იყო, სხვა არა იყოს რა, მარტო იმიტომ, რომ იქიდანა სჩანს, თუ რამდენად შედიოდა ვორონცოვი ყოველ კუთხის საადმინისტრაციო და სამხედრო საქმის ყოველ წერილმანის განხილვაში და რამდენად ბრძნული იყო მისი რჩევა და მითითებანი იმათთვის, ვინც იმის ნდობით იყვნენ შემოსილნი.

მართალია, კოლუბიაკინს სამსახურში ბელი სწყალობდა და მეტად დიდი ადგილიც ეჭირა, მაგრამ მისინც ვერავფერი უშველა თავის გულფიცხობას, რომლის გულისთვის ასე მწარედ დაისაჯა თავისი კარიერის დასაწყისში.

როგორც ვსთქვით, კოლუბიაკინმა თოფისწამალივით იცოდა აფეთქება, თავის სიცხარით ხშირათ ერთ წაშში აფუჭებდა იმას, რის გაკეთებისათვის საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა მონდობებული. მეტად ჭკუიანი კაცი იყო და ნაკითხი, სწრაფად იცოდა მოსაზრება, როცა გუნებაზე იყო, ოხუნჯობა უყვარდა; სამართლიანი იყო, ზედმიწევნით პატიოსანი და უანგარო; როგორც უბრალო ჯარისკაცი, ზომიერება უყვარდა თავის პირად მატერიალურ მოთხოვნილებათა საქმეში. კოლუბიაკინი, რა თქმა უნდა, ამ თავის თვისებებისათვის ბევრს არ მოსწონდა, და ყოველი მისი აპილილება, რასაც ზოგჯერ განგებ გამოიწვევდნენ მასში, მის საწინააღმდეგო იარაღადვე ხდებოდა. ეს ამბავი ისე არავისა სწყინდა, როგორც იმათ, ვინც კოლუბიაკინს კარგათ იცნობდნენ და აფასებდნენ მის ეტყუარ ღირსებას, და ასეთების რიცხვს ეტყუაროდა თვით ვორონცოვიც. მისი ძმა, მიხეილი, ამ დროს ტფილისის ვიცე-გუბერნატორად იყო, იმასაც ყველანი პატივს სცემდნენ.

აქამომრჩეველთა მოსაზრებებს, წინადადებას, შეკითხვებს პასუხი უნდა გაეცა

მიხეილ სააკაშვილს დღემდე არა აქვს გაცნობიერებული, რომ ამომრჩეველს აქვს უფლება არა მხოლოდ არჩევნების დროს, არამედ ყოველთვის, როცა მოესურვება, პრეზიდენტს მოთხოვონ უპასუხოს ამომრჩეველების შეკითხვას და წინადადებას.

საკაშვილს ვერძლი მის იდეო-მაღლებით მოხილ ვიზიტზე აშშ-ში, რაზედაც პასუხი უნდა გაეცა ამომრჩეველთა სათხოვროს (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 2004 წლის 12 მაისი), მაგრამ დღემდე პასუხი არ მიგვიღია. საკითხი ეხებოდა სომხური ლობის წარმომადგენლებთან მის შეხვედრას, სადაც მას თანხლებები პირები და ჟურნალისტები არ წაუყვანია. ეს ფაქტი ჩვენ გავიგეთ სომხური საინფორმაციო სააგენტო "ნოიან ტაპისი" საშუალებით. სააკაშვილის ამ შეხვედრას მიძღვე შედეგი მოჰყვა – გააქტიურდნენ ჯავახეთში მცხოვრები სომხები, რომელთაც დაარბიეს ახალციხის უნივერსიტეტი, ქართული კულტურის ძეგლები, ქართული ეკლესია, სასამართლო, საქართველოს ტერიტორიაზე მოთხოვნის ავტონომიის ჩამოყალიბება, სახელმწიფო ენად სომხურის გამოცხადება და ა.შ.

მაგრამ ამასვე სააკაშვილს კრინტიც არ დაუძრავს. დამანაშავეები პასუხის გაცემაში არ მიუციათ, ამ შეხვედრის შედეგებს კი დღესაც ვიშკით. ამის დასტურია ერევანში ნატარებელი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც სომხები ინტელიგენციის ერთი ნაწილი გააქტიურდა და საქართველოს დაქუცმაცება განიზრახა. მომავალში რა მოხდება, ესეც საკითხავია. სააკაშვილს ვთხოვთ გაცემა პასუხი კითხვაზე და გაეცხადებინა "ჩინონიკებისა და დეპუტატების მიერ გაბარებული ბიუჯეტი, 2000 წლამდე მთავარი თანხები და ქურდების სია", სადაც მიხეილ სააკაშვილს 104928612 აშშ დოლარს ედავებოდნენ. მას თავი უნდა ემართლებინა ამომრჩეველთან და დამტკიცებინა თავისი უდანაშაულობა. არ გამოგვიგნამარა, ალბათ იმტომ, რომ თავის მართლებას ვერ შესძლებდა. ალბათ გახსოვთ, სასამართლომ რამდენიმე ბოთლი გამაგრებული სასმელის მოპარვისათვის არასრულწლოვანს ხუთი წელი ციხე მიუსჯა. თავად განსახდერეთ, რამდენი წელი ციხე ეკუთვნის სააკაშვილს?

შეკითხვაზე, თუ როგორი ქვეყანას უნდა შეადარო საქართველო, პასუხის გაცემად დაგვაკვლიან ამერიკელი და ინგლისელი ექსპერტების მიერ შემუშავებულმა, ფაშისმიხაკურ ხელის 10 პუნქტისაგან შემდგარმა ინსტრუქციამ, რომელიც გაზეთ "გარდიანში" იყო გამოქვეყნებული. გვიხსენებთ იმაზე წერა, თუ რა ხდება დღეს საქართველოში ფაშისტური დიქტატურის ასაღორძინებლად. მათი ურთიერთშედარებით დაინახეთ საბედისწერო მსგავსებას ფაშისტებისა და "ნაციონალისტების" მოქმედებათა შორის. კერძოდ, ნაციონალური ისევე ეპყრობიან საკუთარ ხალხს, როგორც ფაშისტები დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრებთ. მიმართავენ მოსახლეობის ტოტალურ ეკონტროლს. არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანს ტყვეობით მოკლავ თუ შიმშილით. საქართველოს მოსახლეობის 74 პროცენტში შიმშილის ხედვარს ქვემოთ ცხრობს. თითქმის ერთი მილიონმა საქართველოს მოქალაქემ დასტოვა სამშობლო და ლუკმა-პურის საძებრად უცხოეთში გადაიხვეწა. ჯანმრთელობის დაცვის სისტემა მთლიანად ფასიანი გახდა. კატასტროფულად გაიზარდა ოპერაციების ღირებულება და სამედიცინო პრეპარატების ფასი, გაუქმდა მშობიარეთა უფასო მომსახურების სისტემა, მოიმატა ფასებმა პირველადი მოთხოვნილების საქონელზე.

განა ეს გენციდი არაა? გერმანელი ფაშისტები საკუთარ ერს მსოფლიოზე ბატონობისთვის ამზადებდნენ, მიხეილ სააკაშვილი კი ქართველ ერს სხვათა ხელზე მოსამსახურებლად სწირავს. ნაციონალურმა აითვისეს გესტაპოს პრინციპები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამას კი მათი ფანტაზია ვერ შესწავლა.

ხელისუფლებაში მოხელისთანავე სააკაშვილმა ინტელექტუალურ სფეროში დასაქმებულ ქართველებს შეუტია, რითაც მისი დამფინანსებლის სოროსის დაკვეთა შესრულდა. მაშინ ვურჩევდი, რომ სწორი პოზიცია დაეკავებინა იმ ხალხის მიმართ, ვისაც სახელი და დიდება ქვეყნის შიგნიდან გარეთ გაჰქონდათ და არა პირიქით. სააკაშვილი კი სამწუხარო მისიას თავისი გარემოცვის, კერძოდ კი კირკიტაძის თანხლებით ასრულებდა. მიხეილ სააკაშვილს სურდა "დევალმოსილი" გამხდარიყო, "დგარბლმოსილი" კი გახდა. სწორედ ეს თვისება გამოავლინა მან გაზეთ "ლიტერატურული საქართველო" მთავარი რედაქტორის, ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის თამაზ წიფვიძის მიმართ. მას ჩამოართვეს რედაქციის ბლანსზე არასტრუქტურული შენობა და რედაქცია დაიწყო ქვეშედასტრუქტურის მიხეილ ამგვარი კონფისკაციისა გახდოდა ის, რომ თამაზ წიფვიძაძემ მისთვის ჩვეული პირდაპირობით აკრიტიკებდა პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. ხელისუფლების წარმომადგენლები იმდენად პატარა კაცუნები აღმოჩნდნენ, რომ ბრიყვულად მოისურვეს ანგარიშსწორება თამაზ წიფვიძაძესთან, თუმცა, ყურადღება არ მიუქცევიათ იმისათვის, რომ ებრძოდნენ არა მხოლოდ ბატონ თამაზ წიფვიძაძეს, არამედ ქართულ კულტურას.

პოლიტიკაში ორმაგი თამაში მხოლოდ დიდ პოლიტიკოსებს ხელეწიფებათ, უბრალო მოკვდავთათვის კი ეს ყოველთვის კრახით მთავრდება. გაზეთ "ლიტერატურული საქართველო" 2005 წლის 15 სექტემბერს მე გვწერდით თქვენ: "ქვეყნის მეთაურის სიძლიერე, დიპლომატიური მოქნილობა, რუსეთთან ურთიერთობაში ხისტი პოლიტიკამ სიკეთე ვერ მოგვიტანა. უსუსური პოლიტიკური თამაში არ შეიძლება იმ ქვეყანასთან, რომელსაც კონფლიქტების მოწვევების საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია". თქვენი და თქვენი გარემოცვის დაუფიქრებულმა განცხადებებმა ქვეყანა ომამდე მიიყვანა. ხელისუფლებაში მოკალათებულმა პოლიტიკანებმა უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ქვეყანა კარგა ხანია, რუსეთთან თანაცხოვრებას შეეგუა, რადგან დაუსრულებელი ომების შედეგად გაწამებული ხალხმა ირწმუნა თავისი ხვედრი მეზობელ ერთმორწმუნე რუსეთთან. ასე თუ ისე, აქვსო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. უმადურობა იქნებოდა, რომ ქართველი ხალხი არ იყო დაცული გარეშე მოძალადეებისაგან. ბოლოს, საქართველოს გაერთიანებას საფუძველი ჩაუდარა რუსეთმა, რადგან საქართველო დაქუცმაცებული იყო სამთავროებდ და სამეფოებდ, საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი კი მიტაცებული იქნა და მეზობელ სახელმწიფოს – ოსმალეთს. გაეხსენოთ 1877-1878 წლების ომი თურქეთთან, როდესაც მათ განდევნეს თურქეთი საქართველოს ტერიტორიიდან და გაანთავისუფლეს აჭარა (თუმცა თქვენ ამტკიცებთ, რომ საუკუნეების მეგობრობა გვაკავშირებს თურქეთთან): მართალია აქამდე ვერ ვვლირეთ ნანატრ სუვერენიტეტს, მაგრამ ისტორიულად პატარა ქვეყნის ბედი ასეთი

ყოფილა, ამას არც ძლიერი იარაღი უშველის და არც ძლიერი ჯარი. როგორც ცხოვრებამ დაამტკიცა, მან დიდი მეგობარი და ძლიერი მეზობელი უნდა იყოლიოს. კახელებს აქვთ ბრძნული ანდაზა: "ვენაცვალე ავ მეზობელს, ნახეთ კარგი რა იქნება!" დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი დასავლეთ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოებს აქვთ, მაგრამ ისინი ძლიერი მეზობლების ფრთხვს არიან შეფარებული. შეურაცხყოფას არ აყენებენ მეზობელ სახელმწიფოების ხელისუფალთ, სასიკეთოდ იყენებენ ყველა მეზობელს და არც თუ ცუდად ცხოვრობენ.

უინსტონ ჩერჩილს აქვს გამოთქმა: "პოლიტიკა ხელფონებაა, რომელმაც შეუძლებელი შესაძლებლად უნდა აქციოს". ქართველებიც ვამბობთ: "გველს ხერხელით ამოიყვან, ენა ტბილად მოუბარო". პრეზიდენტი და მისი გარემოცვა, სადაც შემადლებულ ადგილს ნახავენ, წამსვე რუსეთის გინებას იწყებენ და რა ეპითეტებით არ ამკობენ მას. სააკაშვილსა და მის ხროვას ჯერ კიდევ არა აქვს გათვითცნობიერებული, რომ საქართველოს შესაძლებლობის გზა ძალასა და იარაღზე არ გადის. არა და, ისე იტყვიან, გვერთხებოთ, რომ მათი მიზრევი ქვეყანაზე არავინ იყოს. ხელისუფლების მესვეურები იმპულსურად მოქმედებენ და წაშით არ უფიქრდებიან იმას, რომ ბირთვული არსენალის მქონე სახელმწიფოს ვემუქრებით, რაც თავისთავად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ფოთიდან სააკაშვილმა პუტინს ეძახა: ვერ დამჩიქებო, მაგრამ, დახოქებაზე უარესი დაემართა – ადამიანის სახე ჰქონდა დაკარგული შიშით ავისტოს დღეებში და გაქცევას აღარაფერი უკლდა. რუსებსაც ხომ თავისი ლოკოკა აქვთ – ჩემი ოჯახის ორსაუკუნოვანმა წევრმა ზურგი მაქცია და მოწინააღმდეგეს მიექედლო.

არ ვართო მისი ოჯახის წევრი, რადგან ჩვენი დამოუკიდებლობა მსოფლიოში აღიარაო, ამტკიცებს საქართველოს ხელისუფლება, მაგრამ ვერ ამჩნევენ, თუ რამდენი ხილული და უხილავი ძაფით ვეფილავართ დაკავშირებული რუსეთთან მიბმული, ვერც ის შეიგნეს, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემას რუსეთის მეტი ვერავინ გადაწვევდა. საერთაშორისო ორგანიზაციები ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ ვერასხეით ვერ მიუახლოვდით სანუკარ მიხანს. ქვეყნის მეთაურობა რომ იკისრეთ, მსიტო უნდა იცოდეთ, რომ ბირთვული არსენალის მქონე ქვეყანას ამერიკა საქართველოს კულისათვის არასოდეს დაუპირისპირდება.

აიღეთ თუნდაც ისრაელის მაგალითი!

ხელისუფლებამ, როგორც მას სჩვევია, შეიძლება მე რუსეთის აგენტად შემრაცხოს. რუსეთს ათეულ ათასობით აგენტი და დივერსანტი რომ შემოეგზავნა საქართველოში მტრული მისიით, იმაზე მეტ ზიანს ვერ მიაყენებდა ჩვენს ქვეყანას, როგორც სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ მიაყენა, თავისი უგუნური პოლიტიკით.

დღემდე ვერ გავრკვეულვარ სააკაშვილის ლოკოკაში, ალბათ მკითხველიც ასე იქნება – ულოგიკობის მაგალითია, როცა ამბობს რუსეთთან ურთიერთობა უნდა ადვიდინო და ამავდროულად მიტინგს აწყოებს რუსების წინააღმდეგ და ოკუპანტად აცხადებს მას.

დასკვნა მკითხველისათვის მიგვიწვია.

გიორგი (გონი) ცაავა,
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი

წიგნის თარიღი

კოლხური კოშიკი პარადიულოზა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 70 წელთან დაკავშირებით სერგი საჯიამ გამოსცა წიგნი "ზვიად გამსახურდია – საქართველოს წინამძღოლი ქრისტესმხედრული მოვალეობით". წიგნი იწყება ქართველი საზოგადო მოღვაწის თემურ ქორიძის წინასიტყვაობით, რომელიც აღნიშნავს, რომ "ქართველი ერის ისტორიაში მე-20 საუკუნე უთუოდ აღიბეჭდება, როგორც უადრესად რთული და დრამატული შინაარსით აღსავსე მოვლენა. ამ მოვლენათა კვლევისთვის ანალიზი ფართო კონტექსტის გათვალისწინებას მოითხოვს. ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა თავისთავად კარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას".

მისივე მტკიცებით, XX საუკუნის საზოგადო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ "გასწორებას", სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევას, რაც მომავალში ქართველი ერის ისტორიული მემკვიდრეობის, დროთა ტრავმატიკულად დარღვეული კავშირისა და "ნატეხილი ხიდების" გამართლების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

სწორედ ეს აზრი გახდევს რეფრენად ნარკვევების კრებულს "ზვიად გამსახურდია – საქართველოს წინამძღოლი ქრისტესმხედრული მოვალეობით". მის ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ეთნოგენეზის, ერის კულტურულ-რელიგიური ცნობიერებისა და ისტორიულ-პოლიტიკური პრობლემეტიკის მკაფიო და არგუმენტირებული ანალიზი.

ავტორის მართებული დაკვირვებით, ქართველი ერის "ისტორიული სულის" ნიშან-გეგმად მე-20 საუკუნის საქართველოში აღმართულია "კოლხური კოშიკი", ანუ ერთ-ერთი უსახალხო სულიერებით აღსავსე "კოლხური კოშიკის ცნობიერება".

ავტორის საინტერესოდ მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ 1993 წლის 1 ოქტომბერს ზვიად გამსახურდიას მითითებით კანონიერი ხელისუფლების მოქმედების ზონაში (ზუგდიდი) დაარსდა აფხაზეთის საქმეში სახელმწიფო კომიტეტი. 17 ოქტომბრისათვის კანონიერი ხელისუფლების მოქმედების ზონაში იყო 195.000 ლტოლვილი. ამ დროს შევარდნაძის პროპაგანდა უსინდისოდ ავრცელებდა ცილისწამებას, თითქოს სამეგრელო, ზვიად გამსახურდიას განკარგულების თანახმად, ლტოლვილებს არ იღებდა. სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირება და სამოქალაქო თანხმობის დანგრევა.

სახლგარი არ ჰქონდა შევარდნაძისა და მისი ხროვის ვერაგობას, რომელთაც სოხუმი ფარისევლურად ჩააბარეს მტერს, დევნილ მოსახლეობას კი დაუმადეს, რომ პირადად ზვიად გამსახურდიას ძალისხმევით გაჭრილი იყო თავდასაღწევი დერეფანი და დევნილები, – როგორც მეომრები, ასევე მოსახლეობა, ხუნტამ შეიტყუა საკენ-ჭუპურის უღელტეხილის მიმართულებით, სადაც სიკვდილს გადარჩენილ ხალხს

ახალი რისხვა დაატყდა თავს, – ძარცვა და განიარაღება. ეს ყველაფერი კი შევარდნაძისა და იოსელიანის მითითებით აღსრულდა და ითვალისწინებდა მეგრეთა და სევანთა ტომობრივი შეუღლისაკენ წაქეზებას.

საინტერესოდ წარმოგვიდგენს წიგნის ავტორი "ვერო-ამერიკელი" გლობალიზმის უბედურებებს, რომელიც ერებში მშობლიური ცნობიერების მოშლისა და ეროვნული სახელმწიფოების დაქუცმაცებისათვის იბრძვის. იგი, ამავე დროს, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია. ეს გახლავთ მასონური აგრესია. მათ ყველა ერის, საერთოდ კაცობრიობის დაქუცმაცებას სურთ ერთი მსოფლიო მთავრობისათვის, რათა საბოლოოდ მოახდინონ მათი დენაციონალიზაცია... ხდება რელიგიათა სინთეზირება, იქნება სინკრეტული სარწმუნოება და ამ საქმეს ერთგულად ემსახურება ეკუმენური მოძრაობა, ე.წ. მსოფლიო საეკლესიო საბჭო და სხვა მასონური ორგანიზაციები... ავტორის მტკიცებით გლობალიზაციის თავიანთ მიზნის მისაღწევად ეცდებიან კაცობრიობის შერეკვას "უსჯულოების მატარებელში" და ანტიქრისტეს გამეფებას. დაიწყება ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის არნახული დევნა, პრესას და ჟანსალ უზრს დაუწესდება დრაკონული ცენზურა და სხვა.

აი, რა სიგრძე-სიგანის თავზარი იმალება ერთის შეხედვით ისეთ "შვიდობიან" სიტყვებში, როგორცაა გლობალიზმი და დემოკრატიული მსოფლიო წესრიგი.

"კოლხური კოშიკი" იმთავითვე იქცა ქართველების მარადიული მყოფობის წამყვანდენელ სიფხიზლად. ნებისმიერმა, რომელსაც დვითიგანგებულებით მისი ქონებების თვალშეგლება დაეებდა, უნდა გაიპიროვნოს უფლის, ერისა თუ მოყვანის მიმართ ქრისტესმხედრული პასუხისმგებლობა, მოვალეობა და უფლება. იგივე თიქმის ზვიად გამსახურდიას ძეგლზე, რომელიც სამეგრელოს დედაქალაქ ზუგდიდში დაიდგა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავაკაცის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და ხარჯებით.

აღნიშნული წიგნი დიდებული საჩუქარია, მიძღვნილი ქართველი მკითხველისათვის და მან გამოცემისთანავე ჭეშმარიტად ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა წიგნის თაროზე.

რ. შალამბერიძე



გაზეთი "ილორი" უძღვება რეზიპას "მსოფლიო ჩემპიონთა ჯიშორთაში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონთა ჯიშორთა ბატალიებს.

გფრ — 1974

მსოფლიოს რიგით მეათე ჩემპიონატი ფეხბურთში გაიმართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ფიფას ინსტრუქციის თანახმად, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილიისა და ჩემპიონატის მასპინძელი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები შესარჩევი ეტაპისგან განთავისუფლები იყვნენ.

ევროპიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის საგზურები მოიპოვეს: შვედეთის, იტალიის, პოლანდიის, შოტლანდიის, პოლონეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებებმა. მეცხრე საგზურისათვის სსრკ-ის ნაკრებს ორი მატჩი უნდა გაემართა ჩილეს

ეროვნულ გუნდთან. პირველ მატჩში სსრკ-მა მოსკოვში 0:0 ითამაშა ჩილელებთან. განმეორებითი მატჩის გამართვა რუსებმა მოითხოვეს ნეიტრალურ მოედანზე, რადგანაც ჩილეში პინონეტის რეჟიმი მკვინვარებდა და სტადიონი საკონცენტრაციო ბანაკად იყო გადაქცეული. მაგრამ ფიფამ უარი განაცხადა მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვაზე და სსრკ-ს წაუგება ჩაეთვალა.



1974 წლის 13 ივნისს სტარტი აიღო რიგით მე-10 ჩემპიონატმა. პირველ ქვეჯგუფში გფრ-სა და გდრ-ის ნაკრებებმა იოლად შესძლეს შემდეგ ტურში გასვლა, რადგან ჩამოიტოვეს ჩილეა და ავსტრალიის ნაკრებები. მათ შორის გამართული მატჩი კი გდრ-ის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა 1:0.

მა ნაკრებმა, რომელმაც პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილისათვის კი იბრძოდნენ არგენტინელები და იტალიელები. არგენტინელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ჰაიტის გუნდი და ბურთების უკეთესი შეფარდებით ჩამოიტოვეს იტალიელები.

ფინალი
გფრ — პოლანდია 2:1 (2:1)
 07.07.1974წ. მიუნხენი. "ოლიმპიაშტადიონ"-ის სტადიონი.
75.000 მაყურებელი.

მსაჯეები: ჯ.ტეილორი (ინგლისი), რ. ბარეტო-რუიზი (ურუგვაი), ა.გ. არჩუნდია (მექსიკა).

გფრ: მაიერი, ფოგსთი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი (კაპიტანი), ბრაიტნერი, ჰიონესი, ბონჰოფი, ოვერტი, ვრაბოვსკი, მიულერი, პოლცენბანი.
პოლანდია: იონგბლადი, სუურბიერი, პიანი, რისბერგენი (დე იონგი 68), კროლი, იანსენი, ნეესკენსი, ვან ჰანეგემი, რეგი, კრუიფი (კაპიტანი), რენსენბრიკი (რუდ ვან დე კერკოფი 46).
გოლები: ნეესკენსი (2 — პენალტით), ბრაიტნერი (25 — პენალტით), მიულერი (43).

ბომბარდირები
 გუმფოუ ლიატო (პოლონეთი) — 7 ბურთი;
 იოჰან ნეესკენსი (პოლანდია) — 5 ბურთი;
 ანჯეი შარმახი (პოლონეთი) — 5 ბურთი;

ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები
 ჰელსტრომი (შვედეთი), ფოგსთი (გფრ), ფიგუეროა (ჩილე), ბეკენბაუერი, ბრაიტნერი (ორივე გფრ), დეინა (პოლონეთი), ნეესკენსი, ვან ჰანეგემი (ორივე პოლანდია), ლიატო (პოლონეთი), კრუიფი (პოლანდია), გადოხა (პოლონეთი).


მეორე ეტაპზე კი პოლანდიელებმა 4:0 დაამარცხეს არგენტინელები, შემდეგ 2:0 სძლიეს ბრაზილიელებს და ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღეს. ამ მატჩებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა დეკენდარული იოჰან კრუიფის თამაში, რომელმაც არგენტინელებთან დუბლი შეასრულა, ხოლო ბრაზილიელებს ერთი გოლი გაუტანა. ამ ჯგუფში მეორე ადგილი ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა მოიპოვა. ჯგუფში კი ყველაფერი გადაწყვიტა გფრ-სა და პოლონეთის დაპირისპირებამ, რომელშიც 1:0

გამარჯვეს გერმანელებმა და ფინალში პოლანდიელებს დაუპირისპირდნენ. მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში პოლონელებმა გუმფოუ ლიატოს მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით სძლიეს ბრაზილიელებს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ფინალში გფრ-სა და პოლანდიის ეროვნულმა ნაკრებების დაპირისპირება საკმაოდ დაძაბულობით გამოირჩეოდა, რომელშიც ანგარიში მატჩის მეორე წუთზე პოლანდიელმა ნეესკენსმა გახსნა, მაგრამ გერმანელები ამან ვერ დააფრთხო — ჯერ პაულ ბრაიტნერმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მატჩის 43-ე წუთზე ჰერდ მიულერმა მეორე გოლი გაიტანა პოლანდიელთა კარში.

გიორგი ჯალაღანია

იპროტი
 ფსიქიატრი პაციენტს ეკითხება:
 - რატომ დაგეწყით დეპრესია?
 - ჩემი ყოფილი ცოლი ჩემს ახლანდელ ცოლს დაუმეგობრდა...
 - მერე მაგაში რა არის ცუდი?
 - რა და, გაერთიანდნენ და ჩემი მომავალი ცოლი საშინლად გალახეს...

„ეიფლა“ შესაძლოა, ქართულ კომპანიებს სასამართლოში უჩივლოს
 კორპორაცია „ეიფლის“ ოფიციალური ინფორმაციით, შესაძლოა, კორპორაციამ რამდენიმე ქართულ კომპანიას სასამართლოში უჩივლოს. „ეიფლი“, სავარაუდოდ, სასამართლოში იმ კომპანიებს უჩივლებს, რომლებიც ქართულ ბაზარზე „ეიფონებს“ ყიდიან. „ეიფლის“ ოფიციალური დილერია კომპანია „გა მაკ“-ი, რომელსაც მხოლოდ პლეიერებისა და ნოუთბუქების გაყიდვის უფლება აქვს. „ეიფლის“ მტკიცებით, დსთ-ს ტერიტორიაზე „ეიფონები“ ოფიციალურად მხოლოდ რუსეთში იყიდება. „ეიფონების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, საქართველოში „ეიფლი“ მოლაპარაკებებს ერთ-ერთ ქართულ მობილური კავშირგაბმულობის კომპანიასთან აწარმოებს.



დღეა ადგილებს შეიღეს;
 - ადგილი, შეიღო, სკოლაში გაგვიანდება!
 - არ მინდა სკოლაში, დედი. იქ ისეთი საზიზღარი ბავშვები არიან და მასწავლებლებიც ისეთი აუტანლები, მათი დანახვაც აღარ მინდა.
 - კი მაგრამ შენ მაინც უნდა წახვიდე, შეიღო, შენ ხომ სკოლის დირექტორი ხარ.
 ორი ნარკომანი ჩავა მეტროში. მივლენ მატარებლის შემანქანესთან.
 - ეს მატარებელი ვაკეში არ წამიყვანს? — ეკითხება ერთი.
 - ვერა, ძმაო.
 ახლა მეორე ეკითხება:
 - ვერც მე წამიყვანს ვაკეში?
 ქალის აღიარებითი ჩვენება პოლიციაში:
 - ამას წინათ ბიჭებმა ისე დამათერეს, რომ დავორსუდი.

ვაზის საოცარი ჯიშო
 ფირმა "გამწვანება" კრწანისი ვითარებაში უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტკვნელებს, რაც მთავარია, ყინვა და გვალვამდე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში — სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლვა, რთვლობა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსაგაღს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მობარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქეიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.
 ტელ. 72-05-06.
 მის. — თბილისი, გორგასალის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაწეულაბი მიღიან გამოჯანმრთელაულები ბრუნდება

გაგელი
 ავთვისებიანი სისხივნარი დაავადებას, აუზ-ნახლავის გაუჯანმრთლებას, არობის, ფისბალას, პროსტატის, ბუასილის, ნარვის ანთებას, ნარვის, ფსიქიატრიული დაავადებულებას, პარაინფორმის, ასთმას, ჩივის, გულისა და თირკმელის დაავადებას, სკოზს აუროს თირკმელში, ჰაერის გაზანაღი სტაფილოკოკის და ბიფიდის, გულის ცარხარული დაავადებას, ჯირკვლის დაავადებას, ოსტეოპოროზის, გართობის, სისხლის ბათეთრებას, სეპსისს, გოტალრის, ბუარხალურს, ცარხის I და II სტადიაში, C-ჰეპატიტს, გოტალრის, ულათის, ნაღვლის ბუბის დაავადებას, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, აღიგასს, გულულს, ფსორიას, სხსრების დაავადებას, პილიაფსიას, აფარას ინფიბიბას, ანთეს თავის ბიფიდის უჯრუბლის უღვანა-შინარხანებას, დაავადებათ მოქმედებას სეპსალურ დაავადებაზე და ნარკობიბათან დაავადებაზე.

ქოლოდინაბებია:
 თალაპი, პავსიონის ქარა №61-ბ, გაგელი ბიფიკო (ფორმები).
 ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
 თბილისი, წინამძვირიზის 120
 ბათუმი, ასათნის 11,
 (ორგანის, ოთხგანთს და პარასავს, 10-დან 14 საათამდე).

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ღავით ქობალაია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი</p>	<p>anaklia@web.de e-mail: elisabeththal@yahoo.de ჩემპიონის განთავსება 899-57-33-22</p>
---	--	---	---